

შპს შვიდი მითი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

31 დეკემბერი 2018

შპს შვიდი მითი

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრის და 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით

ქართული ლარი	შენიშვნა	<u>31.12.2018</u>	<u>01.01.2018</u>
აქტივები			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	6	888 111	363 114
სავაჭრო დებიტორული დავალიანება		5 135 841	6 486 375
გადახდილი ავანსები	7	843 179	306 913
სასაქონლო-მატერიალური მარაგი	8	3 480 805	2 867 964
სხვა მიმდინარე აქტივები		1 966	1 723
გაცემული მოკლევადიანი სესხები და მისაღები პროცენტები	9	102 688	-
სულ მოკლევადიანი აქტივები		10 452 591	10 026 089
ძირითადი საშუალებები	12	3 881 712	4 552 541
არამატერიალური აქტივები	12	9 427	9 129
გრძელვადიანი სესხები და მასზე დარიცხული პროცენტები		-	-
სულ აქტივები		14 343 730	14 587 760
ვალდებულებები			
ვალდებულებები, წარმოქმნილი მიწოდებიდან და მომსახურებიდან	10	2 647 307	2 452 838
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	11	483 760	125 648
მიღებული მოკლევადიანი სესხები	13	4 040 744	2 485 888
გრძელვადიანი სესხების მიმდინარე ნაწილი	13	244 025	483 484
გრძელვადიანი სესხები	13	261 599	2 441 912
გამოცხადებული დივიდენდი		-	180 232
საგადასახადო ვალდებულებები		195 329	129 978
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		7 872 764	8 299 980
საწესდებო კაპიტალი		100	100
გაუნაწილებელი მოგება		6 470 866	6 287 679
დაუფარავი ზარალი		-	-
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		14 343 730	14 587 760

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება დამოწმებულია ხელმძღვანელის მიერ და მისი სახელით ხელმოწერილია 2020 წლის 24 იანვარს:

რამაზ ანდლულაძე
დირექტორი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება წაკითხული უნდა იქნეს შენიშვნებთან ერთად, რომელიც ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია და განთავსებულია 5-21 გვერდებზე.

შპს შვიდი მითი

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის კაპიტალში ცვლილებების შესახებ კოსოლიდირებული ანგარიშგება

ქართული ლარი	შენიშვნა	2018
განგრძობითი ოპერაციები:		
შემოსავალი საქონლის მიწოდებიდან	14	15 205 878
შემოსავალი საიჯარე მომსახურებიდან	14	147 317
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება		(12 314 925)
მომსახურების თვითღირებულება		(27 712)
საერთო მოგება		3 010 559
მიწოდების ხარჯები	15	(87 433)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	16	(2 090 688)
ცვეთა და ამორტიზაცია		(313 450)
საოპერაციო (ზარალი)/მოგება		518 987
ფინანსური შემოსავლები	17	183 006
დადებითი საკუროსო სხვაობები		201 641
სხვა არასაოპერაციო შემოსავლები	18	137 248
ფინანსური ხარჯები	19	(192 010)
უარყოფითი საკუროსო სხვაობები		(195 658)
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	20	(54 760)
(ზარალი)/მოგება მოგების გადასახადით დაბეგვრამდე		598 455
მოგების გადასახადის ხარჯი		-
წლის (ზარალი)/მოგება		598 455
სხვა სრული შემოსავალი		-
სულ წლის სრული (ზარალი)/მოგება		598 455

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება დამოწმებულია ხელმძღვანელის მიერ და მისი სახელით ხელმოწერილია 2019 წლის 24 იანვარს:

რამაზ ანდლულაძე
დირექტორი

შპს შვიდი მითი

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის კაპიტალში ცვლილებების შესახებ კოსოლიდირებული ანგარიშგება

ლარი	საწესდებო კაპიტალი	დაგროვილი მოგება	სულ საკუთარი კაპიტალი
ნაშთი 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	100	6 287 679	6 287 779
საანგარიშგებო პერიოდის მოგება ან ზარალი	-	598 455	598 455
სხვა სრული შემოსავალი წლის განმავლობაში	-	-	-
განაწილებული დივიდენდი	-	(415 268)	(415 268)
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	100	6 470 866	6 470 966

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება დამოწმებულია ხელმძღვანელის მიერ და მისი სახელით ხელმოწერილია 2019 წლის 24 იანვარს:

რამაზ ანდლულაძე
დირექტორი

კაპიტალში ცვლილებების შესახებ ანგარიშგება წაკითხული უნდა იქნეს შენიშვნებთან ერთად, რომელიც ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია და განთავსებულია 5-21 გვერდებზე.

შენიშვნა	გვერდი	შენიშვნა	გვერდი
1. ანგარიშგების წარმდგენი საწარმო	6	15. მიწოდების ხარჯები	16
2. მომზადების საფუძვლები	7	16. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	16
3. საანგარიშგებო პერიოდი	7	17. ფინანსური შემოსავლები	17
4. წარდგენის ვალუტა და ერთეული	7	18. სხვა არასაოპერაციო შემოსავლები	17
5. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა	8	19. ფინანსური ხარჯები	17
6. ფულადი სახსრები და მისი ეკვივალენტები	13	20. სხვა არასაოპერაციო ხარჯები	17
7. გადახდილი ავანსები	13	21. კაპიტალი	17
8. მარაგები	14	22. კაპიტალის მართვა	18
9. გაცემული მოკლევადიანი სესხები	14	23. სამართლიანი ღირებულება	18
10. სავაჭრო ვალდებულებები	14	24. რისკების მართვა	19
11. სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	14	25. გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან	20
12. ძირ. საშუალებები და არამატ. აქტივები	15	26. პირობითი ვალდებულებები	21
13. მიღებული სესხები	16	27. შემდგომი მოვლენები	21
14. შემოსავალი მიწოდებიდან	16		

1. ანგარიშგების წარმდგენი საწარმო

(ა) ბიზნეს გარემო

საქართველოს ბიზნეს გარემო

ჯგუფის საქმიანობა ხორციელდება საქართველოში, შესაბამისად მასზე ზემოქმედებს საქართველოში მოქმედი ეკონომიკური ფაქტორები და ფინანსური ბაზრები, რომლებიც განვითარებადი ბაზრის თვისებებით ხასიათდება. საკანონმდებლო, საგადასახადო და მარეგულირებელი სტრუქტურები განაგრძობენ განვითარებას, თუმცა ისინი ექვემდებარებიან განსხვავებულ ინტერპრეტაციებს და ხშირ ცვლილებებს, რაც სხვა საკანონმდებლო სირთულეებთან ერთად, საქართველოში მოქმედი კომპანიებისთვის გარკვეულ გამოწვევებს წარმოადგენს. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება ასახავს ხელმძღვანელობის მიერ საქართველოს ბიზნეს გარემოს გავლენების შეფასებას ჯგუფის ოპერაციებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე. მომავალი ბიზნეს გარემო შეიძლება განსხვავდებოდეს ხელმძღვანელობის შეფასებებისგან.

(ბ) საზოგადოება და საქმიანობა

შპს „შვიდი მითი“ წარმოადგენს საქართველოში რეგისტრირებულ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, როგორც ამას განმარტავს „საქართველოს კანონი მეწარმეთა შესახებ“. კომპანია რეგისტრირებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად 2009 წლის 23 თებერვალს.

კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, თბილისი, საბურთალოს რაიონი, გოთუას ქ. N10-12.

ჯგუფის ძირითადი საქმიანობაა საკვები პროდუქტებისა და სხვა სურსათის საწარმოო დანადგარების, საკვების შესაფუთი ტარის და საკვები ინგრედიენტების იმპორტი და რეალიზაცია, ასევე საიჯარე მომსახურების გაწევა.

კომპანიის მფლობელების სტრუქტურა შემდეგია:

მფლობელები	ამ ფინანსური ანგარიშგების წარსადგენად ნების დართვის თარიღისთვის, %	2018 წლის 31 დეკემბრისთვის ფლობილი წილი, %	2018 წლის 1 იანვრისთვის ფლობილი წილი, %
რამაზ ანდლულაძე (01010000271)	100%	100%	100%
	100%	100%	100%

კომპანიას ჰყავს შვილობილი საწარმო:

- შპს „რიმ 2014“, საიდენტიფიკაციო კოდი - 405075671, რეგისტრირებული 2014 წლის 16 დეკემბერს, იურიდიულ მისამართზე - თბილისი, საბურთალოს რაიონი, გოთუას ქ. N10-12. ბლოკი 1, ოფისი #2, წილობრივი მონაწილეობა - 100%;

ჯგუფის ძირითადი დაფინანსების წყაროს წარმოადგენს ლიცენზირებული ფინანსური ინსტიტუტებისგან მიღებული სახსრები და გაუნაწილებელი მოგება. შედეგად, ჯგუფი ეკონომიკურად დამოკიდებულია მფლობელებზე და მისი საქმიანობა მჭიდროდაა დაკავშირებული მათ მოთხოვნებთან.

მფლობელებს აქვთ დისკრეციული შესაძლებლობა, პირდაპირ ჩაერიონ ჯგუფის საოპერაციო საქმიანობის მართვაში თავიანთი სარგებლის მიღების მიზნით.

ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან განმარტებულია შენიშვნაში 26.

2. მომზადების საფუძვლები

(ა) შესაბამისობა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოებისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად, როგორც ჯგუფის მსს ფასს-ზე გადასვლის ნაწილი. როდესაც ჯგუფი მოამზადებს მსს ფასს-ის შესაბამისად პირველ სრულ კომპლექტს ფინანსურ ანგარიშგებას 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის, ისინი მომზადებული იქნება მოქმედი სტანდარტების და ინტერპრეტაციების შესაბამისად იმ თარიღისათვის.

შესაბამისად, წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება, რომლის მიზანსაც წარმოადგენს ჯგუფის ფინანსური ანგარიშგების პირველი სრული კომპლექტის შესადარისი ინფორმაციის შექმნა, მომზადებულია ხელმძღვანელობის მიერ, იმ სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების ცოდნის გამოყენებით, რომლებიც მოსალოდნელია, რომ ძალაში იქნება 2019 წლის 31 დეკემბერს, ასევე იმ, სააღრიცხვო პოლიტიკების გამოყენებით, რომლებიც გამოყენებულ იქნება ჯგუფის ფასს-ების შესაბამისად მომზადებულ პირველ სრულ ფინანსური ანგარიშგების კომპლექტში. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება, 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების გარდა, არ მოიცავს წინა წლების შესაბამის ციფრებს. ამგვარი სტანდარტის, ინტერპრეტაციის ან სააღრიცხვო პოლიტიკის ნებისმიერი ცვლილება შესაძლოა მოითხოვდეს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების კორექტირებას, მანამ სანამ ისინი მოიცავენ ამგვარ შესადარის ინფორმაციას.

ჯგუფს აქამდეც არ მოუმზადებია ფინანსური ანგარიშგება ფინანსური ანგარიშგების სტანდარტების სხვა მარეგულირებელი ჩარჩოების ფარგლებში. შესაბამისად, ჯგუფს არ წარმოუდგენია შეჯერებები როგორც ამას ითხოვს მსს ფასს.

3. საანგარიშგებო პერიოდი

ჯგუფის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე. 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლის ბოლოს მდგომარეობით მონაცემები იგივეა, რაც მომდევნო წლის 1 იანვრის მდგომარეობით მოყვანილი მონაცემები.

4. წარდგენის ვალუტა და ერთეულის სიზუსტე

ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული მუხლები წარმოდგენილია ეროვნულ ვალუტაში. საქართველოს ეროვნულ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი. ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია 1 (ერთი) ლარის სიზუსტით.

უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლითი ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორისი სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად.

საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური სავალუტო გაცვლითი კურსები 2018 და 2017 წლების ბოლო დღის მდგომარეობით:

	<u>31.12.2018</u>	<u>01.01.2018</u>
ლარი/1 USD	3.0701	3.1044
ლარი/1 EUR	2.6766	2.5922

5. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა, შეფასებები და მსჯელობები

მსს ფასს-ის შესაბამისი ფინანსური ანგარიშგების მომზადება ხელმძღვანელობისგან მოითხოვს მსჯელობებს, შეფასებებსა და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენენ სააღრიცხვო პოლიტიკაზე და წარმოდგენილი აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლების და ხარჯების ოდენობაზე. ფაქტობრივი შედეგები შეიძლება განსხვავდებოდეს აღნიშნული შეფასებებისგან.

შეფასებების და ძირითადი დაშვებების გადახედვა მუდმივად ხორციელდება. სააღრიცხვო შეფასებების გადახედვის შედეგები აღიარდება იმ პერიოდში, რომელშიც მოხდა მათი გადახედვა და ნებისმიერ შემდგომ პერიოდში, რომელზედაც მათ ექნებათ გავლენა.

ხელმძღვანელობის აზრით, არ არსებობს კრიტიკული მსჯელობები გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ, რომელთაც აქვთ მნიშვნელოვანი გავლენა ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე და არ არსებობს დაშვებებთან და შეფასებებთან დაკავშირებული გაურკვევლობები, რომლებიც წარმოშობს არსებითი კორექტირების მნიშვნელოვან რისკს მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში.

ა) შემოსავლების აღიარება

შემოსავლების აღიარება ხდება საქონლის და მომსახურების გაყიდვიდან ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში მისაღები ან მიღებული თანხის სამართლიანი ღირებულებით. შემოსავლები აღიარდება, როდესაც არსებობს სარწმუნო მტკიცებულებები, როდესაც მყიდველს გადაეცემა მნიშვნელოვანი რისკები და საკუთრების უფლება საქონელზე, გაწეულია გაყიდვასთან დაკავშირებული ხარჯები და საიმედოდ შეფასებულია საქონლის შესაძლო უკან დაბრუნება.

რეალიზებული საქონლის უკან დაბრუნება და ფასდათმობა აღიარებულია შემოსავლის შემცირების გზით, გაყიდვების აღიარებასთან ერთად.

ბ) ფინანსური შემოსავლები და ხარჯები

ჯგუფის ფინანსური შემოსავლები და ხარჯები მოიცავს სესხებზე დარიცხული პროცენტის თანხებს, ასევე ფინანსურ აქტივებზე და ფინანსურ ვალდებულებებზე უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეულ შემოსავლებსა და ხარჯებს.

ჯგუფის სხვა შემოსავალს წარმოადგენს ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან მიღებული მოგება, კრედიტორებისგან მიღებული კრედიტ-ნოტები და საპროცენტო შემოსავალი საქართველოს კომერციულ ბანკებში განთავსებული დეპოზიტებიდან, გაცემული სესხებიდან, ფასიანი ქაღალდებიდან და თამასუქებიდან და სხვა შემოსავალი. ჯგუფი საპროცენტო შემოსავალს აღიარებს იმ პერიოდის შესაბამისად, რა პერიოდშიც ხდება შემოსავლის მიღება და ასახავს მას მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

გ) გარიგებები უცხოურ ვალუტაში

გარიგებები უცხოურ ვალუტაში კონვერტირდება ჯგუფის შესაბამის ფუნქციონალურ ვალუტაში ტრანზაქციების განხორციელების დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ დადგენილი ოფიციალური სავალუტო გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაიცვლება ფუნქციონალურ ვალუტაში, ამავე თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსის მიხედვით. უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც დაიანგარიშდება სამართლიანი ღირებულებით, კონვერტირდება ფუნქციონალურ ვალუტაში სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის დღისთვის არსებული ვალუტის გაცვლის კურსის მიხედვით. არაფულადი ერთეულები უცხოურ ვალუტაში, რომელიც გამოთვლილია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გადაყვანილია ტრანზაქციის თარიღისთვის მოქმედი გაცვლითი კურსით. ვალუტის გადაფასებით გამოწვეული საკურსო სხვაობა აისახება პერიოდის მოგებაში ან ზარალში.

დ) მოგების გადასახადი

2016 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის „ესტონური მოდელის“ სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაშია საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ყველა იურიდიული პირისთვის, გარდა ფინანსური ინსტიტუტებისა (როგორც არის ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, ლომბარდები), რომლებისთვისაც კანონი ძალაში შევა 2023 წლის 1 იანვრიდან.

ახალი საგადასახადო სისტემიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს, როგორც წესი (გარდა იშვიათი გამონაკლისი შემთხვევებისა), არ წარმოეშვებათ დროებითი სხვაობები კომპანიის საგადასახადო ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებებს შორის. შესაბამისად, 2017 წლიდან მათ არ აქვთ გადავადებული საგადასახადო აქტივები და გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულებები.

2018 წელს საქართველოში მოგების გადასახადის განაკვეთი 15% შეადგენდა.

ე) მარაგები

მარაგები შეფასებულია თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. მარაგების ღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი მეთოდის გამოყენებით და შეიცავს დანახარჯებს, რომელიც დაკავშირებულია აქტივის შეძენასთან და სხვა დანახარჯებს, რომელიც მოიცავს მისი მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისათვის და სათანადო მდგომარეობაში მოსაყვანად. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში საქმიანობისას არსებული აქტივის გასაყიდ ფასს გამოკლებული დანახარჯები, დაკავშირებული აქტივის გაყიდვასთან.

ვ) ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები

ჯგუფი ძირითად საშუალებებს აღრიცხავს მათი თვითღირებულებით (ისტორიული ღირებულება) გამოკლებული დაგროვილი ცვეთა.

ჯგუფი არამატერიალურ აქტივებს აღრიცხავს მათი თვითღირებულებით (ისტორიული ღირებულება) გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაცია.

ჯგუფი აღრიცხავს ცვეთას წრფივი მეთოდით, მათი სასარგებლო მომსახურების ხანგრძლივობის მიხედვით:

სასარგებლო მომსახურების ხანგრძლივობა

შენობა-ნაგებობები, ტერიტორიის გამწვანება	- 25 წელი
ოფისის აღჭურვილობა, ავეჯი, კომპიუტერული ტექნიკა	- 5 წელი
მანქანა-დანადგარები	- 5 წელი
ავტოსატრანსპორტო საშუალებები	- 5 წელი
მცირეფასიანი ძირითადი საშუალებები	- 2 წელი

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა და ეს ვადა განსაზღვრულია, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი მათი სასარგებლო სამსახურის ვადის შესაბამისად;

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა, მაგრამ ეს ვადა ცალსახად განსაზღვრული არ არის, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი, სასარგებლო მომსახურების ხანგრძლივობად განისაზღვრება - 6,67 წელი;

ძირითადი საშუალებების შეძენის თვე ცვეთის დარიცხვის მიზნებისთვის აიღება როგორც სრული თვე, ხოლო ძირითადი საშუალების გასვლის თვე ცვეთის დარიცხვის დროს არ გაითვალისწინება.

ძირითადი საშუალება იცვითება იმ თვიდან, როდესაც ხდება მისი ექსპლუატაციაში გაშვება ან ის მზადაა დანიშნულებისამებრ ექსპლუატაციაში გაშვებისთვის.

შეკეთებასთან ან განახლებასთან დაკავშირებული ხარჯები ირიცხება წარმოშობისთანავე და მათი ჩართვა ხდება პერიოდის საოპერაციო ხარჯებში, თუ არ არსებობს მათი კაპიტალიზაციის საფუძველი.

ზ) ფინანსური აქტივების თავდაპირველი აღიარება

ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება სამართლიანი ღირებულებით შეფასებულ და მოგებასა და ზარალში ასახულ ფინანსურ აქტივებად, სესხებად და მოთხოვნებად, დაფარვის ვადამდე ფლობილ ფასიან ქაღალდებად ან გასაყიდად გამიზნულ ფინანსურ აქტივებად. ჯგუფი განსაზღვრავს ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას მათი თავდაპირველი აღიარებისას და მოგვიანებით შეიძლება მოახდინოს ფინანსური აქტივების რეკლასიფიკაცია ქვემოთ მოცემულ შემთხვევებში.

აღიარების თარიღი

ფინანსური აქტივების ყოველგვარი ყიდვა-გაყიდვა ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში აღიარებულია გარიგების თარიღით, ანუ იმ თარიღით, როდესაც ჯგუფმა აქტივების შესყიდვის ვალდებულება იკისრა. ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში ყიდვა-გაყიდვა ნიშნავს ფინანსური აქტივების ისეთ ყიდვა-გაყიდვას, რაც მოითხოვს აქტივების გადაცემას კანონმდებლობით ან საბაზრო პრაქტიკით განსაზღვრულ ვადაში.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ჯგუფი ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის აფასებს, არსებობს თუ არა ფინანსური აქტივების ჯგუფის გაუფასურების ობიექტური ნიშნები. ფინანსური აქტივი თუ ფინანსური აქტივების ჯგუფი გაუფასურებულად მხოლოდ მაშინ მიიჩნევა, თუ არსებობს რამე შემთხვევის ან შემთხვევების შედეგად გამოწვეული გაუფასურების არსებობის ობიექტური საფუძველი, რომელსაც ადგილი ჰქონდა აქტივის თავდაპირველი აღიარების შემდეგ („ზარალის დადგომის შემთხვევა“) და ზარალის დადგომის შემთხვევას ან შემთხვევებს გავლენა აქვს ფინანსური აქტივისა თუ ფინანსური აქტივების ჯგუფის სავარაუდო სამომავლო ფულად ნაკადებზე, რომელთა სარწმუნოდ განსაზღვრაც შესაძლებელია.

ფინანსური აქტივების და ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივის (ან, სადაც მისაღებია, ფინანსური აქტივის ნაწილის ან ანალოგიური ფინანსური აქტივის ჯგუფის ნაწილის) ჩამოწერა ხდება თუ:

- ამოიწურა აქტივიდან ფულადი სახსრების მიღების ვადა;

• ჯგუფმა დათმო აქტივიდან ფულადი სახსრების მიღების უფლება, ან დაიტოვა ამგვარი უფლება, მაგრამ აიღო მესამე პირებისათვის თანხების სრულად და დაგვიანების გარეშე გადახდის სახელშეკრულებო ვალდებულება; და

• ჯგუფმა გადასცა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი; არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი, მაგრამ გადასცა აქტივზე კონტროლი.

ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებების აღიარება წყდება მაშინ, როდესაც ისინი იფარება, ბათილდება ან ამოიწურება. როდესაც არსებულ ფინანსურ ვალდებულებას ცვლის მეორე ფინანსური ვალდებულება იმავე კრედიტორის მიმართ მნიშვნელოვნად შეცვლილი პირობებით, ან თუ მიმდინარე ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება თუ მოდიფიკაცია აღირიცხება, როგორც თავდაპირველი ვალდებულების აღიარების გაუქმება და ახალი ვალდებულების აღიარება, ხოლო შესაბამისი საბალანსო ღირებულების სხვაობა აისახება მოგებაში ან ზარალში.

თ) ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს ჯგუფისთვის წარმოადგენს ფული სალაროში და ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე და დეპოზიტებზე.

ი) მოთხოვნები საქმიანობიდან და სხვა მიმდინარე მოთხოვნები

მოთხოვნები წარმოადგენენ ყველა მიმდინარე მოთხოვნებს მომსახურებიდან და მიწოდებიდან, წინასწარ გადახდილი გადასახადების და წინასწარ გაწეული ხარჯების გარდა.

სავაჭრო და სხვა დებიტორული მოთხოვნების აღიარება ხდება სამართლიანი ღირებულებით და შემდგომში შეფასებული ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდით, გამოკლებული გაუფასურების დანაკარგი. დებიტორული დავალიანების გაუფასურების დანაკარგი ჩამოყალიბებულია, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულებები, რომ ჯგუფი ვერ შეძლებს ყველა თანხის შეგროვებას მისაღები მოთხოვნების მიხედვით.

საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში რეზერვში ცვლილებების ოდენობა აისახება მოგება-ზარალის ანგარიშებზე. ნებისმიერი მოთხოვნის ჩამოწერის ასახვა ხდება არსებული საექვო მოთხოვნების რეზერვის ანგარიშზე. ყველა სავაჭრო მოთხოვნა, პირდაპირ ჩამოიწერება და აღიარდება პერიოდის მოგება-ზარალში.

კ) აქტივების გაუფასურება

ფინანსური აქტივი შეფასდება ყოველ ანგარიშგების დღეს იმ მიზნით, რომ განისაზღვროს არსებობს თუ არა მისი გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება. ფინანსური აქტივი

ჩათვლება გაუფასურებულად იმ შემთხვევაში, თუ ობიექტური მტკიცებულებით ნაჩვენებია აქტივის თავდაპირველი აღიარების შემდგომ ზარალის შემთხვევა, რაც შესაძლებელია უარყოფითად აისახოს აღნიშნული აქტივის სამომავლო ფულადი ნაკადების შეფასებაში, რაც ფასდება საიმედოდ.

ლ) ხარჯების აღიარება

ჯგუფი გასწევს ხარჯებს საქმის წარმოებაზე თავის საოპერაციო საქმიანობის პროცესში, ასევე აქვს სხვა ხარჯები, რაც არ უკავშირდება მის ძირითად საქმიანობას. ხარჯების აღიარება ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა შემცირება მომავალი ეკონომიკური სარგებლისა, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს. ხარჯების აღიარება ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, გაწეული ხარჯებისა და შემოსავლების შორის უშუალო შეპირისპირების საფუძველზე, შემოსავლების კონკრეტული მუხლების მიხედვით. თუკი ეკონომიკური სარგებლის წარმოშობა მოსალოდნელია რამდენიმე საანგარიშო პერიოდის მანძილზე და კავშირი შემოსავალთან შეიძლება მოიძებნოს მთლიანად ან ნაწილობრივ, მაშინ მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ხარჯის აღიარება მოხდება რაციონალური გადანაწილების მეთოდით. ხარჯის აღიარება ხდება მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში დაუყოვნებლივ, თუ ხარჯი აღარ ქმნის მომავალ ეკონომიკურ სარგებელს, ან როცა მომავალი ეკონომიკური სარგებელი არ შეესაბამება ან აღარ შეესაბამება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში (ბალანსში) აქტივად აღიარების მოთხოვნებს.

6. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ლარი	31.12.2018	01.01.2018
ნაღდი ფული სალაროში	46 293	24 751
ნაღდი ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე	841 819	338 363
სულ ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	888 111	363 114

7. გადახდილი ავანსები

ლარი	31.12.2018	01.01.2018
რეზიდენტებისათვის გადახდილი ავანსები	58 309	38 193
არარეზიდენტებისათვის გადახდილი ავანსები	784 870	268 720
სულ გადახდილი ავანსები	843 179	306 913

8. მარაგები

ლარი	<u>31.12.2018</u>	<u>01.01.2018</u>
საქონელი	3 376 568	2 813 785
მზა პროდუქცია	103 164	53 104
საწვავ-საცხები მასალები	1 073	1 076
სულ მარაგები	3 480 805	2 867 964

9. გაცემული მოკლევადიანი სესხები და მისაღები პროცენტები

ლარი	<u>31.12.2018</u>	<u>01.01.2018</u>
გაცემული მოკლევადიანი სესხები	101 000	-
მოკლევადიანი სესხზე დარიცხული პროცენტები	1 688	-
სულ მოკლევადიანი სასესხო მოთხოვნები	102 688	-

10. სავაჭრო ვალდებულებები

ლარი	<u>31.12.2018</u>	<u>01.01.2018</u>
ვალდებულებები რეზიდენტი სავაჭრო კრედიტორების წინაშე	156 438	118 183
ვალდებულებები არარეზიდენტი სავაჭრო კრედიტორების წინაშე	2 490 870	2 334 656
სულ სავაჭრო ვალდებულებები	2 647 307	2 452 838

11. სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

ლარი	<u>31.12.2018</u>	<u>01.01.2018</u>
მიღებული ავანსები	477 883	120 528
ვალდებულებები საწარმოს პერსონალის მიმართ	-	5 120
სხვა ვალდებულებები	5 877	-
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	483 760	125 648

12. ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები

ლარი	მიწის ნაკვეთები	დაუმთავრებელი მშენებლობა	შენობა- ნაგებობები	მანქანა- დანადგარები და მოწყობილობები	ოფისის აღჭურვილობა, ავეჯი და ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	არამატერიალური აქტივები	სულ
ისტორიული ღირებულება								
ნაშთი 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	393 160	175 081	3 544 525	451 214	124 263	374 140	11 543	5 073 926
შესყიდვები	-	325 939	393 178	40 682	19 725	-	1 546	781 069
გასვლები	(98 126)	(501 020)	(507 784)	-	(4 500)	(76 664)	-	(1 188 094)
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	295 034		3 429 919	491 896	139 488	297 476	13 089	4 666 901
ცვეთა								
ნაშთი 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	-	-	(285 340)	(70 248)	(51 498)	(102 755)	(2 413)	(512 256)
ცვეთა წლის განმავლობაში	-	-	(138 804)	(95 726)	(20 677)	(56 995)	(1 248)	(313 450)
გასვლები	-	-	4 436	-	900	44 607	-	49 943
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	295 034		3 010 210	325 922	68 213	182 332	9 427	3 891 139
წმინდა საბალანსო ღირებულება								
2018 წლის 1 იანვარს	393 160		3 259 185	380 965	72 765	271 384	9 129	4 561 671
2018 წლის 31 დეკემბერს	295 034		3 010 210	325 922	68 213	182 332	9 427	3 891 139

13. მიღებული სესხები

ლარი	31.12.2018	01.01.2018
მოკლევადიანი სესხები პროკრედიტ ბანკიდან	4 040 744	2 485 888
გრძელვადიანი სესხების მიმდინარე ნაწილი პროკრედიტ ბანკიდან	244 025	483 484
გრძელვადიანი სესხები პროკრედიტ ბანკიდან	261 599	2 441 912
სულ მიღებული სესხები	4 546 368	5 411 284

14. შემოსავალი მიწოდებიდან

ლარი	2018
შემოსავალი საქონლის მიწოდებიდან საქართველოში	15 133 934
შემოსავალი საქონლის მიწოდებიდან - ექსპორტი	71 944
შემოსავალი საიჯარე მომსახურებიდან	147 317
სულ შემოსავალი მიწოდებიდან	15 353 196

15. მიწოდების ხარჯები

ლარი	2018
სარეკლამო ხარჯი	(37 855)
მიწოდების სხვა ხარჯი	(4 944)
საგადასახადო ხარჯი უსასყიდლო მიწოდებიდან	(44 635)
სულ მიწოდების ხარჯები	(87 433)

16. საერთოდა ადმინისტრაციული ხარჯები

ლარი	2018
შრომის ანაზღაურება (საერთო-ადმინისტრაციული)	(1 686 556)
საიჯარო ქირა	(18 563)
საერთო დანიშნულების დაცვის ხარჯები	(4 684)
საოფისე ინვენტარის ხარჯები	(11 560)
საკანცელარიო ხარჯები	(8 538)
კომუნიკაციის ხარჯები	(12 318)
ელექტროენერგია, გაზი, წყალი, დასუფთავება (საერთო-ადმინისტრაციული)	(69 311)
საერთო დანიშნულების დაზღვევის ხარჯები	(33 695)
საკონსულტაციო და აუდიტის ხარჯები	(22 287)
საგადასახადო ხარჯები	(46 705)
საბანკო ხარჯები	(33 871)
მივლინების ხარჯები (საერთო-ადმინისტრაციული)	(68 690)
საერთო დანიშნულების რემონტის ხარჯები	(4 784)
გრძელვადიანი აქტივების ექსპლუატაციის ხარჯი	(41 557)
წარმომადგენლობითი ხარჯები	(18 057)
სხვა საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	(9 512)
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	(2 090 688)

17. ფინანსური შემოსავლები

ლარი	2018
საპროცენტო შემოსავალი	1 688
შემოსავალი ძირით. საშუალებ. და არამატ. აქტივების გასვლიდან	181 318
სულ ფინანსური შემოსავლები	183 006

ჯგუფმა 2018 წელს მოახდინა მის ბალანსზე არსებული ძირითადი საშუალების - შენობა-ნაგებობის და ორი ავტოსატრანსპორტო საშუალების რეალიზაცია. აღნიშნული ოპერაციის საფუძველზე ჯგუფის მიერ მიღებულმა ფინანსურმა შემოსავალმა შეადგინა 181 318 ლარი.

18. სხვა არასაოპერაციო შემოსავლები

ლარი	2018
უსასყიდლოდ მიღებული ქონება	124 433
სხვა არასაოპერაციო შემოსავლები	12 816
სულ სხვა არასაოპერაციო შემოსავლები	137 248

19. ფინანსური ხარჯები

ლარი	2018
საპროცენტო ხარჯები კომერციული ბანკებიდან მიღებულ სესხებზე	(192 010)
სულ ფინანსური ხარჯები	(192 010)

20. სხვა არასაოპერაციო ხარჯები

ლარი	2018
ფინანსური აქტივების გაუფასურების ზარალი	(54 310)
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	(450)
სულ სხვა არასაოპერაციო ხარჯები	(54 760)

21. კაპიტალი**(ა) საწესდებო კაპიტალი**

საწესდებო კაპიტალი წარმოადგენს კაპიტალის ნომინალურ თანხას კომპანიის სადამფუძნებლო დოკუმენტში.

(ბ) დივიდენდები

ჯგუფის მფლობელი არის უფლებამოსილი დივიდენდის მიღებაზე, მათი გამოცხადებისას გარკვეული პერიოდულობით.

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, კომპანიის გასანაწილებელი ნაშთი შეზღუდულია გაუნაწილებელი მოგების ნაშთით, მსს ფასს-ების შესაბამისად მომზადებული ფინანსური ანგარიშგების შესაბამისად.

22. კაპიტალის მართვა

ჯგუფის ხელმძღვანელობა ცდილობს რომ შეინარჩუნოს საკმარისი კაპიტალი, როგორც ჯგუფის საოპერაციო და სტრატეგიული მიზნების განსახორციელებლად, ასევე ბაზრის მონაწილეთა შორის ნდობის შესანარჩუნებლად. აღნიშნული მიიღწევა ეფექტური ფულის მენეჯმენტითა და გრძელვადიანი საინვესტიციო გეგმებით, რომლებიც ძირითადად ფინანსდება ჯგუფის მფლობელებისგან.

წლის განმავლობაში ჯგუფის მიდგომაში კაპიტალის მართვასთან დაკავშირებით არ ყოფილა ცვლილება.

23. ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება

სამართლიანი ღირებულების წინასწარი გაანგარიშება მიზნად ისახავს სავარაუდო ფასის მიახლოებით განსაზღვრას, რომელიც მიღებული იქნება აქტივის გასაყიდად ან გადახდილი იქნება ვალდებულების გადაცემისთვის თანმიმდევრული ტრანზაქციის გზით ბაზრის მონაწილეებს შორის შეფასების დღეს. ამასთან, გაურკვევლობის გათვალისწინებით და სუბიექტური განსჯის მეშვეობით, სამართლიანი ღირებულება არ უნდა იქნეს ინტერპრეტირებული, როგორც რეალიზებადი აქტივების დაუყოვნებელი ნასყიდობის გზით ან ვალდებულებათა გადაცემის მეშვეობით.

ჯგუფმა განსაზღვრა ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულებები შეფასებითი ტექნიკის გამოყენებით. შეფასების ტექნიკების მიზანია სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა, რომელიც ასახავს ფასს, რომელიც უნდა იქნეს მიღებული აქტივის გასაყიდად ან გადახდილი ვალდებულების გადაცემისთვის თანმიმდევრული ტრანზაქციის ფარგლებში ბაზრის მონაწილეებს შორის შეფასების დღეს. გამოყენებული შეფასებითი ტექნიკა არის დისკონტირებული ფულადი საშუალებების მოძრაობის მოდელი. ყველა ფინანსური აქტივის და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება დაანგარიშდება მომავალში ძირითადი თანხისა და დარიცხული პროცენტების ფულადი საშუალებების მოძრაობის საფუძველზე, რომელთა დისკონტირება ხდება ანგარიშგების დღეს პროცენტის საბაზრო განაკვეთით.

ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ ჯგუფის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება მიახლოებით მათი საბალანსო ღირებულების ტოლია.

24. რისკების მართვა

მმართველობითი სისტემა

ჯგუფის რისკისა და ფინანსური მართვის სისტემის მთავარი მიზანია დაცვა ისეთი მოვლენებისგან, რომლებიც აბრკოლებს ჯგუფის მიზნების მიღწევას და შესაძლებლობების გამოყენებას. ჯგუფი აანალიზებს რისკების ეფექტური და ეფექტიანი მართვის სისტემის უდიდეს მნიშვნელობას. დანერგილია პოლიტიკა, რომელიც განსაზღვრავს ჯგუფის რისკზე ორიენტირებულობას, რისკის მართვას, კონტროლსა და საქმიანობის სტანდარტებს.

ფინანსური ინსტრუმენტებით სარგებლობიდან გამომდინარე, ჯგუფი დგას შემდეგი რისკების წინაშე:

- საკრედიტო რისკი ;
- ლიკვიდურობის რისკი ;
- საბაზრო რისკი.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი წარმოადგენს რისკს, როდესაც ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობა იწვევს მეორე მხარის ფინანსურ ზარალს. ჯგუფი მართავს საკრედიტო რისკის დონეს, რომელზეც იგი პასუხისმგებელია საკრედიტო რისკის საერთო პოლიტიკით, რომელშიც შეფასებული და განსაზღვრულია, რა წარმოადგენს ჯგუფისთვის საკრედიტო რისკს, რისკის ლიმიტი თითოეული კონტრაგენტის, გეოგრაფიული მდებარეობისა და საქმიანობის სფეროსთვის, გაქვითვის უფლება, როდესაც კონტრაგენტები ერთდროულად მოვალეები არიან და კრედიტორებიც.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი, რომ საწარმოს შეექმნება სირთულეები მიმდინარე ფინანსური ვალდებულებების დაფარვის საკონტრაქტო პირობების შესრულებისას, რამაც შესაძლოა, მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს ჯგუფის ფუნქციონირებაზე. ლიკვიდურობის რისკის წინდახედული მექანიზმი გულისხმობს საკმარისი თანხისა და საკრედიტო რესურსების ქონას, რათა დაკმაყოფილებულ იქნას ბაზრის მოთხოვნები.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების გავლენით.

საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას საწარმოს მიერ პროცენტიანი, სავაჭრო ან უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის შედეგად. არსებობს რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფინანსური ნაკადები

იმერყევებს საპროცენტო განაკვეთის ცვლილების გამო (საპროცენტო რისკი) და უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის გამო (სავალუტო რისკი):

საპროცენტო რისკი

საპროცენტო რისკი არის რისკი (ცვალებადი ღირებულებით), რომელსაც ატარებს პროცენტიანი აქტივი, როგორიცაა სესხი, მცოცავი საპროცენტო განაკვეთის არსებობის გამო. საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიქმნება, როდესაც მოცემული ვადიანობის ფაქტობრივი ან მოსალოდნელი აქტივები მეტია ან ნაკლებია იმავე ვადიანობის ფაქტობრივ ან მოსალოდნელ ვალდებულებებზე.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი წარმოიშობა ერთი ვალუტის მიმართ მეორის ფასის ცვლილებით. სავალუტო რისკი გავლენას ახდენს ჯგუფის ფინანსური რისკების განსაზღვრაზე. ჯგუფი ატარებს სავალუტო რისკს, რომელიც დაკავშირებულია მის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებთან.

25. გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან

მხარეები ითვლებიან დაკავშირებულად, თუ ერთ მხარეს აქვს უნარი, გააკონტროლოს მეორე მხარე ან მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს მეორე მხარის ფინანსურ და საოპერაციო გადაწყვეტილებებზე. შესაძლო დაკავშირებული მხარეების თითოეული შემთხვევის განხილვისას ყურადღება უნდა მიექცეს არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას, არამედ იმასაც, თუ როგორია მათ შორის ურთიერთობა. დაკავშირებულმა მხარეებმა შეიძლება დადონ ისეთი გარიგებები, როგორსაც არ დადებდნენ დაუკავშირებელი მხარეები და დაკავშირებულ მხარეებს შორის დადებული გარიგებები შეიძლება არ განხორციელდეს იმავე პირობებზე და თანხებზე, როგორზეც დაიდებოდა გარიგებები დაუკავშირებელ მხარეებს შორის.

დაკავშირებულ მხარეთა ტრანზაქციები

ა) განხორციელებული ტრანზაქციები მმართველ პარტნიორთან

	01.01.2018	2018 წელი	31.12.2018
დივიდენდები	180 232	415 268	-
ხელფასის ხარჯები		986 298	
მივლინების ხარჯები		16 801	
სრულად:	180 232	1 418 367	-

ბ) განხორციელებული ტრანზაქციები სხვა დაკავშირებულ მხარეებთან

	01.01.2018	2018 წელი	31.12.2018
გაცემული სესხები და მისაღები პროცენტები	-	-	102 688
სხვა მიმდინარე აქტივები	7 543	-	-
მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	2 354	-	53 129
შემოსავალი რეალიზაციიდან	-	2 614	-
საპროცენტო შემოსავალი	-	1 688	-
დადებითი საკურსო სხვაობები	-	1 588	-
მარაგები	-	60 324	-
შემოსავლები ძირ. საშუალების გასვლიდან	-	838 047	-
სრულად:	1 071 308	1 037 277	1 638 001

26. პირობითი ვალდებულებები

(ა) სასამართლო დავა

ხელმძღვანელობის აზრით, არ არსებობს მიმდინარე სასამართლო პროცესები ან სხვა სამართლებრივი მოთხოვნები, რომლებმაც შესაძლოა არსებითი ეფექტი იქონიონ ჯგუფის ოპერაციებსა ან ფინანსურ მდგომარეობაზე და რომლებიც არ არის აღიარებული ან განმარტებული ამ ფინანსურ ანგარიშგებაში.

(ბ) პირობითი საგადასახადო ვალდებულებები

საქართველოში საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და ხასიათდება ხშირი საკანონმდებლო ცვლილებებით, ოფიციალური განცხადებებით და სასამართლო გადაწყვეტილებებით, რომლებიც ზოგჯერ ბუნდოვანი და ურთიერთგამომრიცხავია და ერთმანეთისგან განსხვავებული ინტერპრეტაციების საშუალებას იძლევა. საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევაში, საგადასახადო ორგანოს არ შეუძლია ჯგუფს დააკისროს დამატებითი საგადასახო ვალდებულება, ჯარიმა ან საურავი, თუ სამართალდარღვევიდან სამი წელია გასული.

ზემოთხსენებული საგადასახადო გარემო ქმნის საგადასახადო რისკებს, რომლებიც საქართველოში უფრო არსებითია, ვიდრე სხვა ქვეყნებში. ხელმძღვანელობის აზრით, იგი ადეკვატურად ასრულებს საგადასახადო ვალდებულებებს, ხელმძღვანელობს რა საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციების, ოფიციალური აქტებისა და სასამართლოს გადაწყვეტილებების შესაბამისად. თუმცა, შესაბამისი საგადასახადო ორგანოების ჯგუფისგან განსხვავებულმა პოზიციამ შესაძლოა არსებითი გავლენა იქონიოს ამ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

27. შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ისეთ მნიშვნელოვან მოვლენებს, რომლებიც შეიძლება იწვევდეს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მუხლების შესწორებას ან განმარტებითი შენიშვნების დამატებას, ადგილი არ ჰქონია.


შპს შვიდი მითი

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბრის და 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით

ქართული ლარი აქტივები	შენიშვნა	31.12.2018	01.01.2018
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	6	888 111	363 114
სავაჭრო დებიტორული დავალიანება		5 135 841	6 486 375
გადახდილი ავანსები	7	843 179	306 913
სასაქონლო-მატერიალური მარაგი	8	3 480 805	2 867 964
სხვა მიმდინარე აქტივები		1 966	1 723
გაცემული მოკლევადიანი სესხები და მისაღები პროცენტები	9	102 688	-
სულ მოკლევადიანი აქტივები		10 452 591	10 026 089
ძირითადი საშუალებები	12	3 881 712	4 552 541
არამატერიალური აქტივები	12	9 427	9 129
გრძელვადიანი სესხები და მასზე დარიცხული პროცენტები		-	-
სულ აქტივები		14 343 730	14 587 760
ვალდებულებები			
ვალდებულებები, წარმოქმნილი მიწოდებიდან და მომსახურებიდან	10	2 647 307	2 452 838
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	11	483 760	125 648
მიღებული მოკლევადიანი სესხები	13	4 040 744	2 485 888
გრძელვადიანი სესხების მიმდინარე ნაწილი	13	244 025	483 484
გრძელვადიანი სესხები	13	261 599	2 441 912
გამოცხადებული დივიდენდი		-	180 232
საგადასახადო ვალდებულებები		195 329	129 978
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		7 872 764	8 299 980
საწესდებო კაპიტალი		100	100
გაუნაწილებელი მოგება		6 470 866	6 287 679
დაუფარავი ზარალი		-	-
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		14 343 730	14 587 760

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება დამოწმებულია ხელმძღვანელის მიერ და მისი სახელით ხელმოწერილია 2020 წლის 24 იანვარს:

რამაზ ანდლულაძე
დირექტორი


რამაზ ანდლულაძე

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება წაკითხული უნდა იქნეს შენიშვნებთან ერთად, რომელიც ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია და განთავსებულია 5-21 გვერდებზე.

შპს შვიდი მითი

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის კაპიტალში ცვლილებების შესახებ კოსოლიდირებული ანგარიშგება

ქართული ლარი	შენიშვნა	2018
განგრძობითი ოპერაციები:		
შემოსავალი საქონლის მიწოდებიდან	14	15 205 878
შემოსავალი საიჯარე მომსახურებიდან	14	147 317
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება		(12 314 925)
მომსახურების თვითღირებულება		(27 712)
საერთო მოგება		3 010 559
მიწოდების ხარჯები	15	(87 433)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	16	(2 090 688)
ცვეთა და ამორტიზაცია		(313 450)
საოპერაციო (ზარალი)/მოგება		518 987
ფინანსური შემოსავლები	17	183 006
დადებითი საკურსო სხვაობები		201 641
სხვა არასაოპერაციო შემოსავლები	18	137 248
ფინანსური ხარჯები	19	(192 010)
უარყოფითი საკურსო სხვაობები		(195 658)
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	20	(54 760)
(ზარალი)/მოგება მოგების გადასახადით დაბეგრამდე		598 455
მოგების გადასახადის ხარჯი		-
წლის (ზარალი)/მოგება		598 455
სხვა სრული შემოსავალი		-
სულ წლის სრული (ზარალი)/მოგება		598 455

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება დამოწმებულია ხელმძღვანელის მიერ და მისი სახელით ხელმოწერილია 2019 წლის 24 იანვარს:

რამაზ ანდლულაძე
დირექტორი

გეგმვის განყოფილება

კაპიტალში ცვლილებების შესახებ ანგარიშგება წაკითხული უნდა იქნეს შენიშვნებთან ერთად, რომელიც ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია და განთავსებულია 5-21 გვერდებზე.


შპს შვიდი მითი

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის კაპიტალში ცვლილებების შესახებ კოსოლიდირებული ანგარიშგება

ლარი	საწესდებო კაპიტალი	დაგროვილი მოგება	სულ საკუთარი კაპიტალი
ნაშთი 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	100	6 287 679	6 287 779
საანგარიშგებო პერიოდის მოგება ან ზარალი	-	598 455	598 455
სხვა სრული შემოსავალი წლის განმავლობაში	-	-	-
განაწილებული დივიდენდი	-	(415 268)	(415 268)
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	100	6 470 866	6 470 966

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება დამოწმებულია ხელმძღვანელის მიერ და მისი სახელით ხელმოწერილია 2019 წლის 24 იანვარს:

რამაზ ანდლულაძე
დირექტორი


რამაზ ანდლულაძე

კაპიტალში ცვლილებების შესახებ ანგარიშგება წაკითხული უნდა იქნეს შენიშვნებთან ერთად, რომელიც ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია და განთავსებულია 5-21 გვერდებზე.